ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 175
(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **„01“** ნოემბერი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები
ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ფოთიქალაქპროექტი“ შემდეგში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, ჯემალ გიგიბერიას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის N 675 განკარგულების შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

2.შესყიდვის ობიექტი
2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - N 1, N 2, N 3 N 4, N 5, N 6, N 7, N 8, N 11, N 12 საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა (თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად).
შესყიდვის კატეგორია : 71300000 - საინჟინრო მომსახურებები
კლასიფიკატორის CPV კოდი: 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება
2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ N 1-ში ფასების ცხრილი, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 37500,00 (ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
3.2 დაფინანსების წყარო: „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის N207 განკარგულებით გამოყოფილი თანხები.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ფორმა და ადგილი
4.1 მომსახურების გაწევის ვადა**:** ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.
მომსახურების გაწევის ფორმა: საპროექტო - სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს საპროექტო დავალების შესაბამისად, საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესების სრული დაცვით, თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე, შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე.
მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები
5.1. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების პირობები
6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს, ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
6.2 სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე, ხელს აწერს, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენულ პროექტისა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ დადებითი დასკვნის შემსყიდველთან წარდგენის შემდეგ, რომლის საფუძველზეც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. ექსპერტიზის დასკვნის (აღნიშნული დასკვნ(ებ)ის ღირებულება უნდა დაფაროს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

77.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

7.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3,1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.

9.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.2 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12.3 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	**შპს „ფოთიქალაქპროექტი"**
ს/კ 215138143	ს/კ 215081355
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 12	მის: ქალაქ ფოთი, დ.აღმაშენებლის N 10, ვითიბი ბანკი ჯორჯია, ბ/კ UGEBGE22 ა/ა GE90VT0600000020543602
Gocha Kurdgelia Digitally signed by Gocha Kurdgelia Date: 2019.11.01 14:59:17 +04'00'	Jemali Gigiberia Digitally signed by Jemali Gigiberia Date: 2019.11.01 15:47:07 +04'00'
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
გოჩა კურდღელია	**ჯემალი გიგიბერია**

დანართი N 1

ქალაქ ფოთში, N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N11, N12 საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების

საპროექტო დავალება

N1 საჯარო სკოლა

შენობის სახურავი
1. შენობის ფასადის ფლიგელის არსებული ონდულინის სახურავის დემონტაჟი.
2. ახალი სახურავის მოწყობა პროფნასტილით.
3. სახურავზე არსებული წყალსაწრეტი არხებისა და ვერტიკალური მილების დემონტაჟი.
4. სახურავზე ახალი წყალსაწრეტი არხებისა და ვერტიკალური მილების მოწყობა.
5. სახურავზე ხის კონსტრუქციების ნაწილობრივი შეცვლა.

პირველი სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები
1. დერეფანში და საკლასო ოთახებში არსებული გათბობის სისტემის ნაწილობრივი რემონტი.

პირველი სართული - სპორტდარბაზი
1. ელ გაყვანილობის (ძარღვ. კაბელების, სანათები, ჩამრთველები, როზეტები) მოწყობა.
2. გათბობის სისტემის რემონტი.

პირველი სართული - სპორტდარბაზის გასახდელები
1. გათბობის სისტემის რემონტი.

სკოლის ეზოს კეთილმოწყობა
1. ეზოს მოზვინვა და ასფალტირება
2. ეზოში სანიაღვრე წყლის გაყვანის სისტემის მოწყობა.
3. საკალათბურთო მოედნის მოწყობა ორი ხის ფარითა და ბურთის ჩასაგდები კალათით.
4. ეზოს კეთილმოწყობა, არსებული სკვერის რეაბილიტაცია.
5. ეზოში არსებული სანიტარული კვანძის (ბიჭების, გოგობენის, მასწავლებლების) შენობის დემონტაჟი და ნაგვის გატანა.

N2 საჯარო სკოლა

შენობის სახურავი
1. შენობის ძველი ონდულინის სახურავის დემონტაჟი.(ნაწილობრივი)
2. ახალი სახურავის მოწყობა პროფნასტილით. (ნაწილობივი)
3. სახურავზე არსებული წყალსაწრეტი არხებისა და ვერტიკალური მილების დემონტაჟი.
4. სახურავზე ახალი წყალსაწრეტი არხებისა და ვერტიკალური მილების მოწყობა.
5. სახურავზე ხის კონსტრუქციების ნაწილობრივი გამოცვლა.

პირველი სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები
1. დერეფანში და საკლასო ოთახებში არსებული გათბობის სისტემის ნაწილობრივი რემონტი.

პირველი სართული - სპორტდარბაზი
1. არსებულ ხუთ ფანჯარაზე გისოსების მოწყობა.
2. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, როზეტების ჩამრთველები) მოწყობა.

პირველი სართული - სპორტდარბაზის გასახდელები
1. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, როზეტების ჩამრთველები მოწყობა).

მეორე სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები
1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.

მეორე სართული - სააქტო დარბაზი

1. გათბობის სისტემის რემონტი.

მეორე სართული - სამასწავლებლო

1. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების (სანათები) ნაწილობრივ მოწყობა.

მეორე სართული - ბიბლიოთეკა

1. ელ. სარემონტო სამუშაოების სანათების მონტაჟი.

ცალკე მდგომი ერთსართულიანი შენობა - სასადილო და საწყობი

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა (კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტები).

N3 საჯარო სკოლა

პირველი სართული - (ძველი ნაწილი) დერეფანი და საკლასო ოთახები

1 ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტები) მოწყობა.
2. გათბობის სისტემის რემონტი.

მეორე სართული - (ძველი ნაწილი) დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. გათბობის სისტემის ნაწილობრივი რემონტი.

მეორე სართული - (ძველი ნაწილი) სააქტო დარბაზი

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.

პირველი სართული - (ახალი ნაწილი) დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. გათბობის სისტემის რემონტი.

მეორე სართული - (ახალი ნაწილი) დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. გათბობის სისტემის რემონტი.

მესამე სართული - (ახალი ნაწილი) დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოები დერეფანში და საკლასო ოთახებში (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. გათბობის სისტემის რემონტი.

სპორტდარბაზი

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა (კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტები).
2. გათბობის სისტემის რემონტი.
3. ეზოს მთლიანი კეთილმოწყობა, მოასფალტება.
4. ძველი კორპუსის პირველ სართულზე (ადაპტირებულების მეორე მხარე) სველი წერტლების მოწყობა გოგონათა და ვაჟებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.

N4 საჯარო სკოლა

პირველი სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტები) მოწყობა.
2. გარე ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა.

მეორე სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. დერეფანში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა.

მესამე სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები

1. ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. დერეფანში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა.

შენობის მეორე ბლოკის ნაწილობრივი რბილი გადახურვა

1.რბილი გადახურვის ნაწილობრივ დემონტაჟი
2.რბილი გადახურვის ნაწილობრივმოწყობა.
3. შენობაზე წყალსაწრეტი ვერტიკალური მილების დემონტაჟი.
4. შენობაზე წყალსაწრეტი ვერტიკალური მილების მოწყობა.
5. პარაპეტის თუნუქით გადახურვის დემონტაჟი.
6. პარაპეტის თუნუქით გადახურვის მოწყობა.

სპორტდარბაზი

1. არსებული უვარგისი ხის იატაკის დემონტაჟი.
2. ახალი ხის იატაკის მოწყობა და გალაკვა.
3. არსებული კედლებისა და ჭერის ფითხით დამუშავება და შეღებვა მაღალხარისხიანი საღებავით.
4. რვა ფანჯარაზე გისოსების მოწყობა.
5. ელ. სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა (კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტები).

გასახდელები (ბიჭების და გოგონების)

1. ბიჭების სველ წერტილებში კედლებზე კაფელის მოწყობა.
2. იატაკზე მეტლახის ფილების მოწყობა.
3. ბიჭების სველ წერტილებში წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა ფასონური ნაწილებით.
4. გოგონების სველ წერტილებში კედლებზე კაფელის მოწყობა.
5. იატაკზე მეტლახის ფილების მოწყობა.
6. გოგონების სველ წერტილებში წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა ფასონური ნაწილებით.

სააქტო დარბაზი

1.ელ. სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა (კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტები).

N5 საჯარო სკოლა

პირველი სართული - (ძირითადი შენობა) დერეფანი და საკლასო ოთახები

1.ელ. გაყვანილობის კარადის გატანა N6 საკლასო ოთახიდან.

მეორე სართული - (ძირითადი შენობა) დერეფანი და საკლასო ოთახები

1. სველ წერტილებში შესასვლელი კედლების ფითხით დამუშავება და შეღებვა მაღალხარისხიანი საღებავით.

ძირითადი შენობა, მესამე სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები

1. დერეფანში ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.
2. საკლასო ოთახებში ელ. სამონტაჟო სამუშაოების (ძარღვ. კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.

ძირითადი შენობა, მეოთხე სართული - დერეფანი და საკლასო ოთახები

1. საკლასო ოთახებში ელექტრო გაყვანილობის მოწყობა.

მეორე შენობა, მაგიდის ჩოგბურთის ოთახი

1. ელ. გაყვანილობის (კაბელები, სანათები, ჩამრთველები, როზეტების) მოწყობა.

მეორე შენობა, გასახდელები, საპირფარეშო, ინვენტარის შესანახი

1. სველი წერტილების (ბიჭების და გოგონების) იატაკზე მეტლახის ფილისა და კედელზე კაფელის ფილის მოწყობა.
2. სველ წერტილებში (ბიჭები და გოგონები) წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა ფასონული ნაწილებით.
3. გასახდელებში, სველ წერტილებში, ინვენტარის შესანახ ოთახებში ახალი ხის კარების მოწყობა.

მეორე შენობა, სააქტო დარბაზის დამხარე ოთახი და სველი წერტილი

1. სველ წერტილში იატაკზე მეტლახის ფილების მოწყობა.
2. სველ წერტილში კედელზე კაფელის ფილების მოწყობა.
3. სველ წერტილში წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა ფასონური ნაწილებით.
4. დამხმარე ოთახში და სველ წერტილში ხის ახალი კარების მოწყობა.

მეორე შენობა, ესთეტიკური აღზრდისა და ხელოვნების ოთახები

1. მეტალოპლასმასის ორი (ფრამუგის ტიპის) ფანჯრის დემონტაჟი.
2. მეტალოპლასმასის ორი (ფრამუგის ტიპის) ფანჯრის მოწყობა.

ძირითადი შენობის ეზოს ღობე

1. ღობის მოწყობა ეზოს უკან (მოსახლეობის მხრიდან)

N6 საჯარო სკოლა

მეორე სართული

1. ელ.გაყვანილობის რეაბილიტაცია
2. მთელს პერიმეტრზე ღობის მოწყობა აღდგენა და უკანა მხარეს ახლის მოწყობა
3. სამხრეთის მხრიდან ტერიტორიის მოზვნივა ნაწვიმარი წყლის მოსაცილებლად
4. ძველი ტუალეტის მოშლა

N7 საჯარო სკოლა

პირვლი სართული, დერეფანი და საკლასო ოთახები

1. დერეფანში და საკლასო ოთახებში ნაწილობრივ მეტალოპლასტიკატის ფანჯრების დემონტაჟი.
2. დერეფანში და სალასო ოთახებში ნაწილობრივ მეტალოპლასტიკატის ფანჯრების მოწყობა.
3. ელექტრო გაყვანილობის მოწყობა სანათები,ჩამრთველები,როზეტები).

პირველი სართული, სასადილო ოთახი

1. ელექტრო სარემონტო სამუშაოების (სანათები,ჩამრთველები) მოწყობა.

პირველი სართული, სპორტდარბაზი

1. სამი მეტალოპლასტიკატის ფანჯრების დემონტაჟი.
2. სამი მეტალოპლასტიკატის ფანჯრების მოწყობა.

გასახდელები (ბიჭების და გოგონების)

1. გასახდელებში შესასვლელი (ბიჭების და გოგონების) ორი ხის კარის მოწყობა.
2. ელექტრო სარემონტო სამუშაოების (კაბელები,სანათები,ჩამრთველები,როზეტები) მოწყობა.

მეორე სართული, დერეფანი, საკლასო ოთახები

1. ელექტრო გაყვანილობის მოწყობა (კაბელები,სანათები,ჩამრთველები,როზეტები).

მესამე სართული, მუსიკალური დარბაზი

1. ელექტრო სარემონტო სამუშაოები (კაბელები,სანათები,ჩამრთველები,როზეტები) მოწყობა

ხელოვნების ოთახი

1. ელ.სამონტაჟი სამუშაოები (კაბელი,სანათები, ჩამრთველები,როზეტები) მოწყობა.

მესამე სართული, ჰოლი

1. ელ.სამონტაჟო სამუშაოები (კაბელი,სანათები,ჩამრთველები,როზეტები) მოწყობა.

შენობაში არსებული სველი წერტილები I, II და III სართული.

1. კედლებისა და ჭერის დამუშავება ფითით და შეღებვა მაღალხარისხოვანი საღებავით.
2. იატაკებზე და კედლებზე მეტლახისა და კაფელის დემონტაჟი.
3. იატაკებზე და კედლებზე მეტლახის და კაფელის მოწყობა.
4. ელ.განათების მოწყობა.
5. სველ წერტილებში ფანჯრის ხის რაფების გაფხეკვა და შეღებვა ზეთოვანი საღებავით.

სკოლის ეზოს ღობე

1. ეზოს უკანა მხარეს რკინის ღობის ნაწილობრივ რემონტი.
2. ეზოს გვერდით მხარეს ახალი რკინის ღობის მოწყობა.
3. ეზოს რკინის ღობის შეღებვა ზეთოვანი საღებავით.
4. ეზოში არსებული სანიტარული კვანძის (ბიჭების,გოგონების, მასწალებლების) შენობის დემონტაჟი.

N8 საჯარო სკოლა

პირველი სართული

1. კარების გამოცვლა
2. დერეფნების კედლების რეაბილიტაცია
3. ფანჯრების გამოცვლა

მეორე სართული

1. კარების გამოცვლა
2. ფანჯრების გამოცვლა
3. კედლების და ჭერის რებილიტაცია
4. იატაკების რეაბილიტაცია

მესამე სართული

1. კარების რეაბილიტაცია
2. ფანჯრების რეაბილიტაცია
3. კედლების და ჭერისსრული რეაბილიტაცია დერეფნებში და საკლასო ოთახები
4. გარე ტუალეტის დანგრევა უკანა ღობის მოწყობა
5. ეზოს ნაწილობრივი მოზვინვა, წყალარინება.
6. უკანა მხარეს ღობის მოწყობა

N11 საჯარო სკოლა

მეორე სართული

1. 9 ერთეული ფრამუგიანი კარის გამოცვლა.

სპორტული დარბაზი

1. ელ.გაყვანილობის რეაბილიტაცია

გარე სპორტული მოედნის მოწყობა

1. დასავლეთის მხრიდან 5მ-იანი სიმაღლის მავთულბადის ღობის მოწყობა
2. გარე ტუალეტის მოშლა
3. მოსახლეობის მოსაზღვრე ღობის მოწყობა

N12 საჯარო სკოლა

1. ეზოს გალავნის ნოწყობა რიონის მხრიდან (სამხრეთ მხარე) ჭიშკრის მოწყობა
2. არსებული გალავნის რეაბილიტაცია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი **,,01"** ნოემბერი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ შპს ,,ფოთიქალაქპროექტი"-თან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

Gocha Kurdgelia

Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.11.01 14:59:59 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია